პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 89 (4083) 7 1970 წ. მაისი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## 7 მაისი რადიოს დღეა

### მხურვალე გამარჯობა რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებს!

6 ამატებით დაიწყო წლევანდელი სეზონი თბილისელმა სპორტის ოსტატმა ტრისტან ფილიშვილმა — საქართველოს ნაკრების წევრმა კლასიკურ ჭიდაობაში. საკავშირო პროფსაბჭოს პირველობაში გამარჯვება იმისი ნიშანია, რომ ათლეტი სერიოზულად ემზადება ყველაზე საპატიო და პასუხსაგები ასპარეზობისთვის — სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის.

პროფესიით ფილოლოგი, ამჟამად ლენინის რაიონის საბინაო სამმართველოს პედაგოგ-ინსტრუქტორად მუშაობს. იგი სიყვარულით ეკიდება ახალგაზრდა თაობის ფიზიკურ აღზრდას — წვრთნისგან თავისუფალ დროს მეტწილად რაიონის ბავშვებთან ატარებს.

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ტ. ფილიშვილი (მარჯვნივ) სავარჯიშო ვარჯიშის დროს. მისი პარტნიორია ახალგაზრდა მოჭიდავე გ. როჰიკაშვილი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## ახალი ამბები

● მოსკოვი, 5 მაისი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ ნახევარფინალურ მატჩში ცსკა-ს ფრენბურთელ ქალთა გუნდმა დღეს აქ დაამარცხა ბუდაპეშტის ნიმ-ი — 3:2 (15:8, 13:15, 12:15, 15:11, 15:12). ამ კოლექტივთა განმეორებითი შეხვედრა სამი დღის შემდეგ გაიმართება ბუდაპეშტში. კონტინენტის უძლიერესი საკლუბო გუნდისთვის გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ დაწესებული თასის —„დიდი კრისტალის“ მოპოვებისთვის მებრძოლი მეორე საბჭოთა გუნდი — მოსკოვის „დინამო“ უკვე გავიდა ფინალში.

## ბულგარეთი—სსრ კავშირი 3:3

სოფია, 6 მაისი. (საკდესი). მსოფლიო ჩემპიონატის მომავალი ფინალური თამაშების მონაწილეების — ბულგარეთისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების დღეს გამართული ამხანაგური მატჩი ვ. ლევსკის სახელობის სტადიონზე დამთავრდა ფრედ — 3:3.

ანგარიში უკვე მე-3 წუთზე გახსნა ბულგარელთა საუკეთესო ფორვარდმა, „ოქროს ბუცების“ პრიზის მფლობელმა პეტკო ჟეკოვმა. 16 წუთის შემდეგ მუნტიანის მიწოდებიდან ანგარიში გაათანაბრა ევრიუჟიხინმა, ხოლო შესვენებამდე 4 წუთით ადრე ბიშოვეცმა წინ გაიყვანა საბჭოთა გუნდი — 2:1.

მეორე ტაიმის დასაწყისში ინიციატივა ხელთ აიღეს მასპინძლებმა. 66-ე წუთზე ჟეკოვმა მეორე გოლი გაიტანა სტუმართა კარში, ხოლო 70-ე წუთზე დაწინაურდნენ უკვე ბულგარელები — 3:2 (ბონევი). ამ დაძაბული მატჩის საბოლოო შედეგი შეაჯამა გივი ნოდიამ, რომელმაც 75-ე წუთზე ზუსტი დარტყმით გაგზავნა ბურთი მასპინძელთა კარში — 3:3.

საბჭოთა გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: კავაზაშვილი, ძოძუაშვილი, შესტერნიოვი, ლოვჩევი, კაპლიჩნი, სერებრიანიკოვი, მუნტიანი, კისელიოვი, ბიშოვეცი, პორკუიანი (67-ე წ. ნოდია), ევრიუჟიხინი.

## კალიარი პატარა ქალაქია

პირველად იტალიის ფეხბურთის ისტორიაში ჩემპიონის წოდებამ აპენინიდან გადაინაცვლა კუნძულ სარდინიაზე, ქალაქ კალიარიში, რომლის გუნდმა ეროვნული ჩემპიონატის დამთავრებამდე 2 ტურით ადრე გაიხალდა I ადგილი. იტალიის სამხრეთის ყველაზე ღარიბი და ჩამორჩენილი პროვინციის ფეხბურთელებმა შეძლეს მილანისა და ტურინის მდიდარი კლუბების ჰეგემონიის დამხობა.

ახალი ჩემპიონის რამდენიმე მოთამაშეს ვიხილავთ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში. ნაკრების კანდიდატთა შორის არიან მეკარე ალბერტოზი, მცველი ნიკოლაი, ნახევარმცველი ჩერა და თავდამსხმელები დომენგინი, გორი და რივა.

26 წლის ლუიჯი რივა ახლა იტალიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფეხბურთელია. ეს სწრაფი, ენერგიული ფორვარდი მაღალი შედეგიანობითაა ცნობილი.

საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა მეორე წრეში. „ინტერი“ და „იუვენტუსი“ ცდილობდნენ დასწეოდნენ დაწინაურებულ „კალიარის“. „იუვენტუსი“, მაგალითად, 26 ტურის განმავლობაში დაუმარცხებლად მიიწევდა წინ. ჩემპიონატის დამთავრებამდე 6 ტურით ადრე „კალიარი“ ტურინში ჩავიდა „იუვენტუსთან“ სათამაშოდ, რომელსაც იგი ამ დროისთვის 2 ქულით უსწრებდა. მასპინძლები წინ იყვნენ ანგარიშით 2:1, მაგრამ რივამ იხსნა თავისი გუნდი დამარცხებისგან — 2:2. შემდგომში სარდინიელებმა შეინარჩუნეს საბრძოლო ფორმა და ჩემპიონობაც მოიპოვეს.

იტალიის პირველობა დამთავრდა 26 აპრილს. შემდეგ ფეხბურთელებს მიეცათ მცირე ხნით დასვენება, მაისის პირველ რიცხვებში კი ეროვნული ნაკრების წევრები ერთობლივ მზადებას შეუდგნენ. 10 მაისს მათ ლისაბონში საინტერესო საერთაშორისო მატჩი ექნებათ პორტუგალიის ნაკრებთან, რის შემდეგ კურსს მექსიკოსკენ აიღებენ.

ნ. გაგაშვილი.

## პრიზიორები. აუტსაიდერები

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“, რომელმაც გათამაშების დამთავრებამდე 1 ტურით ადრე 49 ქულა დააგროვა და მიუღწეველი აღმოჩნდა II ადგილზე გასული „ბაიერნისთვის“ (მიუნხენი), რომელსაც 46 ქულა აქვს. გამოვლინდა აგრეთვე ორი აუტსაიდერი, რომლებიც საგაისოდ II ლიგაში გადადიან. ესენი არიან „მიუნხენ-1860“ და „ალემანია“.

I ადგილი ინგლისის ჩემპიონატში დიდი უპირატესობით დაიკავა „ევერტონმა“, რომელმაც 66 ქულა დააგროვა. მომდევნო ადგილებზე არიან ამ ქვეყნის თასის გათამაშების ფინალისტები — „ლიდს იუნაიტედი“ და „ჩელსი“. პირველს 57 ქულა აქვს, ხოლო თასის მფლობელ „ჩელსის“ — 55.

## ინგლისის ნაკრების პირველი გამარჯვება

ლონდონი, 5 მაისი. (საკდესი). ინგლისის გუნდის ფეხბურთელებმა მსოფლიო ჩემპიონატში საასპარეზოდ გამგზავრების წინ მოიგეს შეჯიბრება... „ბითლზის“ კვარტეტთან. ნაკრების 28 კანდიდატმა ფირფიტაზე ჩაწერა სიმღერა „ჩვენ დავბრუნდებით“.

როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, ეს ფირფიტა ყველაზე სწრაფად გაიყიდა. ფეხბურთელებმა ჩამოიტოვეს ზემოხსენებული ანსამბლიც კი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე არავის უთმობდა პოპულარობის რეკორდს.

ფიქრობენ, რომ ფირფიტა ახალი ტირაჟით გამოიცემა. მასზე უკვე ნადირობენ არა მარტო ფეხბურთის გულშემატკივრები, არამედ ბევრი ქვეყნის ჯაზის მოყვარულებიც.



ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ეროვნული ნაკრების მოთამაშე ბობი ჩარლტონი ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კავალერია. ამ სურათზე თქვენ მას ხედავთ ცოლთან და ორ ქალიშვილთან — სიუზანასთან და ანდრეასთან ერთად ბაკინგემის სასახლეში.

## გოლები სხვებმაც გაიტანეს

2 მაისს საბჭოთა ფეხბურთელებმა, როგორც ცნობილია, საფრანგეთის ქალაქ ბორდოში ამხანაგური მატჩი ჩაატარეს ადგილობრივ გუნდთან.

ამ მატჩის ანგარიში გამოქვეყნებული იყო ჩვენს გაზეთში, მაგრამ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით გოლების ავტორები არასწორად იყვნენ აღნიშნული. 2 ბურთი გაიტანა პუზაჩმა (47-ე და 57-ე წუთებზე), მესამე გოლის ავტორი 70-ე წუთზე იყო მეტრეველი, ხოლო მეოთხესი — მუნტიანი (89-ე წ.).

ამ მატჩში ანგარიში გახსნეს ფრანგებმა: სიმონი, 26-ე წუთი.

## საიდხუჟინი კვლავ კაპიტანია

1962 წლის მშვიდობისველორბოლაში გამარჯვებული, ამ შეჯიბრების 1969 წლის პრიზიორი, ცნობილი სპორტსმენი გ. საიდხუჟინი კვლავ დაასახელეს სსრ კავშირის იმ ნაკრების კაპიტნად, რომელიც წლევანდელ მშვიდობის ველორბოლაში გამოვა. გუნდში შევიდნენ, აგრეთვე, იაროსლაველი ი. მიხაილოვი, რიგელი რ. კალნენიეკსი, ომსკელი ვ. სოკოლოვი, მოსკოველი ი. დმიტრიევი, კუიბიშეველი ა. გუსიატნიკოვი და ალმაათელი ვ. კუხარსკი.

საკდესის კორესპონდენტმა დარეკა ვარშავაში, სადაც ახლა საბჭოთა სპორტსმენები იმყოფებიან და სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელს ა. ჩერეპოვიჩს სთხოვა რამდენიმე სიტყვით დაეხასიათებინა საბჭოთა გუნდის შემადგენლობა.

— მშვიდობის ველორბოლისთვის მზადების დროს პოლონეთის გზებზე სსრ კავშირის ნაკრებმა 8 შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა, — თქვა მწვრთნელმა. — ეს იყო რბოლები ვარშავის, ოლშტინისა და კატოვიცეს ქუჩებში, მრავალდღიანი ასპარეზობა ზემო სილეზიის გზატკეცილებზე, აგრეთვე, სისწრაფეში შეჯიბრებები. ყველაზე უკეთ სწორედ ეს შვიდი სპორტსმენი გამოვიდა.

მშვიდობის ველორბოლა სტარტს აიღებს 12 მაისს, შუადღისას. მრბოლელებს ელით 1978-კილომეტრიანი გზა, რომელიც 15 ეტაპადაა დაყოფილი. 665 კილომეტრი ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე მოდის, 715 — პოლონეთის, დანარჩენი — გდრ-ის მიწაზე. 26 მაისს ბერლინში ფინიში მოეწყობა.

მშვიდობის წლევანდელ ველორბოლაში (ეს შეჯიბრება ოცდამესამედ იღებს სტარტს) 15 ქვეყნის ნაკრები გუნდები მონაწილეობენ. გარდა საბჭოთა სპორტსმენებისა, რომელთაც შარშან ვერცხლის ჯილდოები მოიპოვეს, სარბიელზე გამოვლენ ალჟირის, ბულგარეთის, ბელგიის, უნგრეთის, გდრ-ის (22-ე ველორბოლაში გამარჯვებული), დანიის, ნორვეგიის, იტალიის, პოლონეთის (მესამე პრიზიორი), რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, საფრანგეთისა და ფინეთის გუნდები.

[illegible]

# მ თ ე ბ ი   დ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ე. პეტროვი. ყინულის სამეფოში.



ჯ. ონიშჩენკო. მიხეილ ხერგიანის უკანასკნელი ნაბიჯები.




საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების საგამოფენო დარბაზში გამართულმა საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის III ტრადიციულმა ფოტოგამოფენამ, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა, დიდი ინტერესი გამოიწვია.

გამოფენა გახსნა მთამსვლელთა რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ო. გიგინეიშვილმა. საერთაშორისო ფოტოგამოფენის გახსნა ქართველ მთამსვლელებს მიულოცეს მთამსვლელთა საკავშირო ფედერაციის, კლდეზე ცოცვის საკავშირო კომიტეტისა და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წარმომადგენლებმა.

საქართველოს მთამსვლელთა ფოტო-კინოკონკურსზე, რომელიც ტარდება დევიზით „მთები და ადამიანები", წარმოდგენილი იყო სხვადასხვა პროფესიის ფოტომოყვარულ მთამსვლელთა 300-ზე მეტი ნამუშევარი მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ორჯონიკიძიდან (?), ნიკოპოლიდან, კრასნოიარსკიდან, ლვოვიდან, ტაშკენტიდან, ჩელიაბინსკიდან, ქუთაისიდან, თბილისიდან... გარდა ამისა, კონკურსში მონაწილეობდნენ პოლონელები, ბულგარელები, აგრეთვე, უკონკურსოდ — საფრანგეთის შამონის მთამსვლელთა სკოლის წარმომადგენლები და იაპონელები.

ფოტო-კინოკონკურსის დებულებით, რომელიც წინასწარ იყო გამოცხადებული რესპუბლიკურ და საკავშირო პრესაში, კლდეზე მცოცავთა საკავშირო და კავკასიის ჩემპიონატების მონაწილეებს შეეძლოთ ფირზე აღებეჭდათ ცალკეული მწვერვალები, ქედები და მყინვარები, ტექნიკურად რთული მონაკვეთები, მთის სოფლების ხუროთმოძღვრება, მატერიალური კულტურის ძეგლები, ხალხის ჩვევები, ფლორა, ფაუნა.

გამოფენის ექსპოზიციაში კარგად არის ასახული მთამსვლელობის არსი, რომელიც ნაწილობრივ მაინც იძლევა პასუხს, თუ რისთვის მიისწრაფვის ასე ადამიანი მთისკენ. ამ გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევრებში კარგად ჩანს, რომ მთამსვლელობა ჩვენში უპირველეს ყოვლისა სპორტია, მაგრამ იგი ამავე დროს დიდ დახმარებას უწევს სახალხო მეურნეობისა და მეცნიერების ბევრ დარგს. გამოჩენილი ინგლისელი მთამსვლელი, დედამიწის უმაღლესი მწვერვალის ჯომოლუნგმას (ევერესტი) პირველდამპყრობი ექსპედიციის უფროსი ჯ. ჰანტი წერდა: „ყველა ჩვენგანისთვის ალპინიზმი, როგორც სპორტი, არის და უნდა იყოს სიამოვნების წყარო. ჩვენ ვახდენთ ასვლას იმიტომ, რომ ეს მოგვწონს, მაგრამ ადამიანის მოღვაწეობის ყოველ დარგში იმ ამოცანის ახსნას, რომელიც დიდხანს ვერ ამოხსნეს სხვებმა, თუმცა ოსტატობაც ჰქონდათ და ნებისყოფაც, განუსაზღვრელი ძალა აქვს"...

ფოტოგამოფენის ექსპოზიცია იწყებოდა ვაჟა-ფშაველას სტრიქონებით:

„მთას ვიყავ, მწვერვალზე<br>
ვიდექ,<br>
თვალთ წინ მეფინა ქვეყანა,<br>
გულზე მესვენა მზე, მთვარე,<br>
ვლაპარაკობდი ღმერთთანა".

ეს სტრიქონები მთელი გამოფენის ლეიტმოტივი გახლდათ.

წლევულს გამოფენილი ექსპონატებიდან ყურადღებას იპყრობდა ახალგაზრდა ქართველ მთამსვლელთა — თბილისის უნივერსიტეტის მთამსვლელთა სექციის წევრების გ. ზუმბაძის, თ. ხაბულიანის, თ. ახალკაცის, ტ. ყორბესაშვილის, გ. მინდიაშვილის, ტ. ლუკაშვილის, აგრეთვე, პედაგოგ ლია გაბუნიას, მეცნიერ-თანამშრომელ ზ. ურუშაძის ნამუშევრები, სპორტის ოსტატ ვ. გვარლიანის პორტრეტები, ო. ერქომაიშვილის „ზამთრის სურათები", ვ. გაბელაშვილისა და ა. ფხაკაძის საინტერესო სერია მწვერვალთა დაპყრობაზე, ი. გელდიაშვილის, გ. ჯაფარიძისა და სხვათა ნამუშევრები.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მთამსვლელობის ვეტერანის, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორის, სპორტის ოსტატ დ. წერეთლის „მყინვარწვერი". უკონკურსოდ იყო გამოფენილი დ. იაკობაშვილის პროფესიული ოსტატობით შესრულებული ორი ფოტოსურათი: „უშბა" და „როცა მუხლები გლალატობენ".

საინტერესოდაა გადაწყვეტილი კონკურსის პლაკატი, რომელიც ნ. სუმბაძის მიერაა დახატული. ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, პროფესორი ვ. კიზელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, კლდეზე ცოცვის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე, მთამსვლელობის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, მხატვარი ი. ანტონოვიჩი, გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" წარმომადგენელი ვ. სოკოლოვა, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ფოტოსექციის თავმჯდომარე ო. თურქია (ჟიურის თავ-



ევა აბგაროვიჩი. დასვენება.



ვ. ყირგალოვი. ლენინს ეძღვნება.



შ. მირიანაშვ

# დ ა მ ი ა ნ ე ბ ი



...ევა აბგაროვიჩი. ა. ჯაფარიძის პორტრეტი.



ა. და კ. კოსტოვები. ტბის ნაპირზე.

...ომარე). ჟიურის მუშაობაში მონა-...ობდა საქართველოს მთამსვლელთა ...ერაციის ფოტო-კინოკომისიის თავ-...ომარე, ტექნიკურ მეცნიერებათა ...იდატი, სპორტის ოსტატი ნ. ნა-...რაშვილი.

...სჯელობის შემდეგ ჟიურიმ საქარ-...ლოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან ...ებული ფიზკულტურისა და სპო-...ის კომიტეტის პრემიები მიანიჭა: ...ართველოს მთამსვლელთა ფედე-...ციის დიდი პრიზი — ფედერაციის ...ლემა, შესრულებული ჭედური ხე-...ვნების ცნობილი ქართველი ოსტა-...ს ი. ოჩიაურის მიერ — ლენინ-...ადელ სპორტის ოსტატ ა. პეტროვს ...ტოსურათების სერიისთვის: „ყი-...ლთა სამყაროში“, „უშბის უნაგირ-...", „ყინულოვან შვეულზე“, „უშბის ...ულოვანი სამკაული“, „კალგას-...რი“.

...ნახველთა ყურადღებას იპყრობდა ...ლისის უნივერსიტეტის პრობლემუ-... ფიზიკის ლაბორატორიის გამგის, ...რტის საპატიო ოსტატის შ. მირი-...შვილის ნამუშევრები — სოფელ ...ულის სხვადასხვა ხედი, შესანიშნა-... რაკურსიდან გადაღებული კავკასი-...ის მშვენება უშბა, „ქართველი ...მსვლელები შვეიცარიაში“. ჟიურიმ ...რიანაშვილს ერთხმად მიანიჭა I ...ემია.

...I პრემიები მიეკუთვნათ, აგრეთვე, ...ლონელ მთამსვლელ ქალს, ქიმი-...ს ე. აბგაროვიჩს — სპორტის დამ-...ურებული ოსტატის ალექსანდრა ...ფარიძის მხატვრული პორტრეტისა ... სურათებისთვის: „შესვენება“, ...რუბლები“, „შავი და თეთრი“, „აღ-...რთი“; სპორტის ოსტატ ვ. ჟირგა-...ვს (ჩელიაბინსკი), რომელმაც წარ-...ადგინა საბჭოთა კავშირის უმაღლე-... მწვერვალის — „კომუნიზმის პიკის“ ...495 მ) დაპყრობის ეპოპეა. „ლე-...ნ ეძღვნება“ — ასე ჰქვია სურათს, ...მელზეც მწვერვალზე ვ. ი. ლენინის ...ატის დადგმაა აღბეჭდილი.

II პრემიები მიეკუთვნათ მოსკოველ ...კარბუტოვს, ვარშაველ კ. პელეცკის, ...ლგარელებს ა. და კ. კოსტოვებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბულგარე-ლები შარშანდელი დიდი პრიზის მფლობელნი არიან. წლეულს მათ კონ-კურსზე გამოგზავნეს 19 ნამუშევარი, რომლებიც თემების მრავალფეროვნე-ბით გამოირჩევიან.

III პრემიები მიეკუთვნათ ლენინ-გრადელ ი. სოკოლოვს, ჩელიაბინსკე-ლებს გ. სიდოროვსა და ვ. ჟირგალოვს, სპორტის ოსტატს, სსრ კავშირის 1969 წლის ჩემპიონს კლდეზე ცოცვაში, თბილისელ ი. გელდიაშვილს, პო-ლონელ კ. ოლეჰს კავკასიონის მწვერ-ვალების შხარას, ჯანტუგანის, ნაკრას, აგრეთვე, ჰინდიყუშის ფოტოსურათე-ბისთვის.

IV პრემიები მიეკუთვნათ საერთაშო-რისო სპორტის ოსტატს, ექიმ ვ. ონი-შჩენკოს ნამუშევრისთვის „მიხეილ ხერ-გიანის უკანასკნელი ნაბიჯები“ (სურა-თი გადაღებულია იტალიის დოლომი-ტებში, მწვერვალ სუ ალტოს კლდო-ვან კედელზე), ქირურგ ვ. ნიკიტინს (ორეხოვო-ზუევო) და სპორტის ოს-ტატს, ლენინგრადელ ი. კუროჩკინს.

დანარჩენმა მონაწილეებმა წამახა-ლისებელი პრემიები მიიღეს. გარდა ამისა, გამოფენის მონაწილეებისთვის სპეციალური პრიზები დააწესეს საქა-რთველოს ჟურნალისტთა კავშირმა (ჯილდო მიიღო სპორტის ოსტატო-ბის კანდიდატმა ტ. ლუკაშვილმა სვა-ნეთის ზამთრის სურათებისთვის), სა-ქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადე-მიის მთამსვლელთა სექციამ სამეც-ნიერო-ტექნიკურ ჟანრში (პრიზი მიე-კუთვნა ვ. ჟირგალოვის სურათს — „მამაცობის ძეგლი“), თბილისის ფო-ტოკლუბმა „საქართველომ“ (ეს პრი-ზები მიიღეს ვარშაველმა კ. ოლეჰმა, ქუთაისელებმა — სპორტის ოსტატმა ვ. გაბელაშვილმა და ა. ფხაკაძემ).

საქართველოს მთამსვლელთა ფედე-რაციის პრიზით აღინიშნა გერმანული ჟურნალის „ალპინიზმუსის“ ფოტოე-ბი.

ფერადი დიაპოზიტივებისთვის I პრემია არავის მიენიჭა.

II პრემია მიეკუთვნა სსრ კავშირის სპორტის ოსტატ პ. სეკაჩოვს (ლვო-ვი), III — საქართველოს ხელოვნე-ბის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრო-მელ გ. სოხაშვილს სერიისთვის „სვანე-თის ხუროთმოძღვრება“, IV — საქართ-ველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელს, სპორტის ოსტატ ო. ერქომაიშვილს და სპორ-ტის ოსტატ ვ. სვეტლიაკოვს (კრასნო-იარსკი).

წამახალისებელი პრემია მიიღო სპორტის ოსტატმა, ლენინგრადელმა ბ. კოშევნიკმა.

საუკეთესო კინოფილმისთვის I პრე-მია მიეკუთვნა სპორტის ოსტატს, ია-ლტელ ინჟინერ-კონსტრუქტორს ი. ბურლაკოვს ფილმისთვის მიხეილ ხერ-გიანის შესახებ — „გამარჯობა, მიშა!“, II პრემია — მასვე ფილმისთვის „შაან-კაია“. ფილმი ეძღვნება მთის ტექნიკურად რთული კედლის დაძლე-ვას მაღალი ალპინისტური ტექნიკის გამოყენებით.

III პრემია არავის მიენიჭა.

IV პრემია მიიღო საპატიო სპორ-ტის ოსტატმა შ. მირიანაშვილმა ფი-ლმისთვის „ქართველი მთამსვლელე-ბი იაპონიაში“.

უკონკურსოდ იყო წარმოდგენილი გ. ჭუბაბრიას (რეჟისორი და ოპე-რატორი) ორი ფილმი — „თეთრი თორღვაი“ და „უშგული“, რომელ-თაც საქართველოს მთამსვლელთა ფე-დერაციის სპეციალური პრიზები მიე-კუთვნათ.

ამრიგად, ფოტო-კინოკონკურსმა, რომელსაც მთამსვლელობის განვითა-რებისთვის დიდი საავიტაციო-პროპა-განდისტული მნიშვნელობა აქვს, შეძ-ლო საკმაოდ მაღალხარისხოვანი სასწა-ვლო-მეთოდური მასალის თავმოყრა და საქართველოს მთამსვლელობის ისტო-რიის მომავალი მუზეუმის ახალი ექს-პონატებით გამდიდრება.

**დ. გოზალიშვილი,**
საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის სასწავლო ნაწილის უფროსი.



შ. მირიანაშვილი. ქართველი მთამსვლელები შვეიცარიაში.





ვ. ნიკიტინი. ბოლო აღმართი.



ა. და კ. კოსტოვები. მწვერვალი უკვე ახლოსაა.

# დღის წესრიგშია უნივერსიადა

წლევანდელი სეზონი მართლაც უნივერსიადების წელია! ამ ცოტა ხნის წინ ფინეთში სტუდენტთა მსოფლიო ზამთრის უნივერსიადა დამთავრდა, აგვისტო-სექტემბერში კი იტალიაში ზაფხულის უნივერსიადა გაიმართება. იტალიაში გამგზავრებამდე საბჭოთა სტუდენტები „შინაურ" საქმეებს გაარკვევენ: რესპუბლიკურ და საკავშირო უნივერსიადებში იასპარეზებენ. ზოგიერთ სახეობაში რესპუბლიკური და საკავშირო შეჯიბრებები უკვე გაიმართა. საქართველოს უნივერსიადის პროგრამით დამთავრდა ტანმოვარჯიშეთა, წყალში მხტომელთა, მოფარიკავეთა და ველოსიპედისტთა (ტრეკი) ტურნირები. საკავშირო უნივერსიადაში კი ურთიერთობა გაარკვიეს სამბისტებმა, კლასიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა, სპორტული ტანვარჯიშის ოსტატებმა, წყალში მხტომელებმა და მოფარიკავეებმა. დღეს გაგაცნობთ რესპუბლიკური და საკავშირო უნივერსიადების პროგრამით გამართულ შეჯიბრებათა შედეგებს.

## რესპუბლიკური...

... უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში ოთხ დღეს გაგრძელდა. სარბიელზე გამოვიდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის, უნივერსიტეტის, ფიზკულტურის, სამედიცინო, პუშკინის სახელობის, გორისა და ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტების გუნდები.

**საპრიზო სამეულები:** ვაჟები. 1. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (154 ქულა), 2. უნივერსიტეტი (136), 3. ფიზკულტურის ინსტიტუტი (114); ქალები. 1. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (116), 2. უნივერსიტეტი (36), 3. ფიზკულტურის ინსტიტუტი (68). პირადი პირველობა. ვაჟები. 1. თ. კოხრეიძე (პოლიტ. ინსტ.), 2. ა. ჩქოთუა (ფიზკ. ინსტ.), 3. ა. გნოლიძე (პოლიტ. ინსტ.); ქალები. 1. მ. ჯინჭარაძე (უნივ.), 2. ზ. იასკო, 3. ც. ნოზაძე (ორივე — პოლიტ. ინსტ.).

**ფარიკაობაში** ტრადიციული მეტოქეები არიან უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნაკრები გუნდები. ამჟამადაც ასე მოხდა. ხან ერთი კოლექტივი იყო წინ, ხან მეორე. საბოლოოდ იმარჯვეს მომავალმა ინჟინრებმა. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ტურნირმა მეტად უფერულად ჩაიარა. სპორტსმენთა სუსტმა გამოსვლებმა, მწვრთნელებისა და მსაჯების გაუთავებელმა დავამ ჩრდილი მიაყენა შეჯიბრებას. მარტო მთავარი მსაჯის გ. ქოჩიაშვილის მონდომებას შედეგი არ მოჰყოლია. რა თქმა უნდა, მწვრთნელების ასეთი საქციელი, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, არაპედაგოგიურია და უარყოფითად მოქმედებს ახალგაზრდა სპორტსმენებზე.

საპრიზო სამეულები: **ხმალი.** 1. რ. ლომინაძე, 2. მ. სახვაძე, 3. დ. შარაშენიძე (სამივე — უნივ.); **რაპირა** (ვაჟები). 1. ნ. ძიძიკაშვილი (პოლიტ. ინსტ.), 2. რ. დევიძე (უნივ.), 3. ვ. გოროდეცკი (პოლიტ. ინსტ.); ქალები. 1. ს. ხვანიძე (პოლიტ. ინსტ.), 2. ნ. ჩახვაშვილი (უნივ.), 3. დ. ბუხრაშვილი (პოლიტ. ინსტ.); **დაშნა.** 1. რ. გოშაძე, ი. ვახრივი, მ. ფერაძე (სამივე — პოლიტ. ინსტ.); **გუნდური.** 1. პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 2. უნივერსიტეტი, 3. ფიზკულტურის ინსტიტუტი.

**წყალში მხტომელთა** შეჯიბრების მონაწილეთა რიცხვი ერთობ მცირე იყო: სულ 4 გუნდი და 8 სპორტსმენი. გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. პოლიტექნიკური (34 ქულა), 2. ფიზკულტურის (12), 3. სოხუმის (0), 4. თბილისის (0) პედაგოგიური ინსტიტუტები. პირადი პირველობა. ქალები. კოშკი. 1. ლ. კაზანცევა (პოლიტ. ინსტ.), 2. გ. ბუაჩიძე (ფიზკ. ინსტ.), 3. ვ. ფედჩენკო (პოლიტ. ინსტ.); 3-მეტრიანი ტრამპლინი. 1. გ. ბუაჩიძე, 2. ს. ესიკოვსკაია (თბ. პედინსტ.); ვაჟები. კოშკი. 1. ვ. ბასიუკი, 2. ა. ოსინინი (ორივე — პოლიტ. ინსტ.), 3. ი. კირაკოსიანი (უკონკურსოდ); 3-მეტრიანი ტრამპლინი. 1. ს. ეპიფანოვი (სოხ. პედინსტ.), 2. ს. ჩუნიხინი (პოლიტ. ინსტ.), 3. ი. კირაკოსიანი (უკონკურსოდ). ბასიუკმა კოშკიდან ხტომაში ოსტატობის კანდიდატის ნორმა აჩვენა. კოშკიდან ხტომაში კაზანცევამაც ოსტატობის კანდიდატის ნორმატივით დაამთავრა შეჯიბრება, ხოლო ბუაჩიძემ ტრამპლინიდან ხტომაში I თანრიგის შედეგი აჩვენა.

**ტრეკზე მოასპარეზე ველოსიპედისტებმაც** 4 გუნდი გამოიყვანეს. ადგილები ასე განაწილდა: 1. ფიზკულტურის ინსტიტუტი (90 ქულა), 2. უნივერსიტეტი (48), 3. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (40), 4. ბათუმის პედინსტიტუტი (6). პირადი პირველობა. ვაჟები. სპრინტერული რბოლა. 1. თ. გელაძე (პოლიტ. ინსტ.), 2. ი. ლიტვინოვი (უნივ.), 3. დ. ნოზაძე (პოლიტ. ინსტ.); 1000 მ ადგილიდან. 1. შ. კაცაძე (უნივ.), 2. ბ. ჩუტკერაშვილი (ფიზკ. ინსტ.), 3. ი. ლიტვინოვი; 4 კმ გამოდევნებით. 1. ბ. ჩუტკერაშვილი, 2. შ. კაცაძე, 3. ი. ლიტვინოვი; გუნდური რბოლა 4 კმ-ზე. 1. ფიზკულტურის ინსტიტუტი, 2. უნივერსიტეტი, 3. პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ქალები. სპრინტერული რბოლა. 1. ა. დოლგოპოლოვა, 2. ლ. გუსევა (ორივე — ფიზკ. ინსტ.), 3. ზ. რაკანტი (პოლიტ. ინსტ.); 500 მ ადგილიდან. 1. ა. დოლგოპოლოვა, 2. ლ. გუსევა; 3 კმ გამოდევნებით. 1. ლ. გუსევა, 2. ა. დოლგოპოლოვა.

## საკავშირო...

... უნივერსიადაში ჩვენმა **წყალში მხტომელებმა** VI ადგილი დაიკავეს. ბასიუკი კოშკიდან ხტომაში მესამე იყო, კაზანცევა — მეოთხე.

მეტად უხეიროდ გამოვიდნენ ჩვენი **ტანმოვარჯიშეები:** ქალები VI ადგილს დასჯერდნენ, ვაჟები — IX (ქალთა ტურნირში 9 გუნდი მონაწილეობდა, ვაჟთა შეჯიბრებაში — 11). ოსტატ ქალთა შედეგებში საუკეთესო იყო XIV ადგილი, რომელიც მ. მონიავამ დაიკავა. მ. ჯინჭარაძეს 41-ე ადგილი ხვდა, ვ. სმაგინას — 44-ე, ც. ნოზაძეს — 62-ე, ზ. იასკოს — 64-ე. ვაჟებში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ე. ექსუზიანი 36-ე ადგილზე გავიდა, თ. კოხრეიძე — 43-ზე, ა. გნოლიძე — 49-ზე, ა. ჩქოთუა — 57-ზე, ტ. მუჩიაშვილი — 67-ზე. კომენტარები მართლაც ზედმეტია!

სამაგიეროდ, გვასახელეს **სამბისტებმა,** რომლებმაც დამაჯერებლად მოიპოვეს გუნდური I ადგილი (103 ქულა). II ადგილზე გავიდნენ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები (72), III — მოსკოველები (67,5). პირად ასპარეზობაში I ადგილები მოიპოვეს: რ. მაღალთაძემ (70 კგ), რ. ქაიხოსროშვილმა (80), შ. ჩოჩიშვილმა (86), ნ. ექვთიმიშვილმა (100) და დ. ბერუაშვილმა (100 კგ-ზე ზევით). II ადგილებზე გავიდნენ: თ. ხორბალაძე (62), გ. თვაური (70), ვ. ბორჩაშვილი (75) და გ. თანდილოვი (93). III ადგილები წილად ხვდათ ი. იმერლიშვილს (66), ზ. ბეთლემიძეს (75) და დ. ნინიაშვილს (86).

**თავისუფალ ჭიდაობაში** ჩვენმა ათლეტებმა II საპრიზო ადგილი დაიკავეს (78 ქულა). I ადგილზე გავიდა რსფსრ-ს ნაკრები (88), III — ბელორუსიის გუნდი (71). პირად ასპარეზობაში 100 კგ-ზე მძიმე წონის მოჭიდავეთა შორის ყველას აჯობა ნ. მოდებაძემ. II ადგილებზე გავიდნენ თ. მიქელაძე (52) და რ. მარსაგიშვილი (82). III ადგილებზე არიან თ. გოგუა (62), ვ. ჭკადუა (68), ნ. ძამაშვილი (90) და დ. დუგლაძე (100).

**კლასიკურ ჭიდაობაში** ქართველი სტუდენტები IV ადგილზე არიან. ჩვენს გუნდს გაუსწრეს ბელორუსიის, უკრაინისა და რსფსრ-ს ათლეტებმა, სამაგიეროდ, გვყავს ორი ჩემპიონი: მ. ჩიბურდანიძე (100) და შ. მოჩხილაძე (100 კგ-ზე ზევით). III საპრიზო ადგილები დაიკავეს თ. ჯაოშვილმა (52) და ვ. ანტონოვმა (68).

ჩვენმა **მოფარიკავეებმა** საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს (106 ქულა). II ადგილზეა რსფსრ-ს (95), III — ბელორუსიის ნაკრები (88). ცალკეულ სახეობებში საქართველოს მუშკეტერთა შედეგები ასეთია: დაშნა — I ადგილი, ხმალი — I, რაპირა: ვაჟები — IV, ქალები — III ადგილი. ხმლით მოფარიკავეებში ყველას აჯობა გ. ლორთქიფანიძემ, II ადგილზეა მ. სახვაძე. აღსანიშნავია ისიც, რომ 9 ფინალისტს შორის 3 ქართველი მოფარიკავე იბრძოდა. დაშნით მოფარიკავეებში III ადგილი დაიკავა შ. სულამანიძემ.

* * *

საკავშირო უნივერსიადის პროგრამით 6 სახეობაში გამართულ შეჯიბრებების შემდეგ საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს სტუდენტთა კოლექტივი I ადგილზეა.

„ლელოს" ბრიგადა.



• • •

სურათზე: ხმლით მოფარიკავეთა შეჯიბრების მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

### გურჯაანი

ახლახან ორგანიზებულად ჩატარდა ველისციხის № 13 პროფტექნიკური სასწავლებლის შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა. პროგრამაში იყო ფეხბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა და ტყვიის სროლა.

ა. ჯალაღანია.

### ხულო

ამ ბოლო ხანს რაიონის სპორტსმენებმა რამდენიმე ახალი და კეთილმოწყობილი ბაზა მიიღეს. მალე დამთავრდება სპორტსკოლის მშენებლობაც.

ი. აბულაძე.

### საჩხერე

რაიონის მედიცინის მუშაკთა სპარტაკიადა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. პროგრამაში იყო შეჯიბრებები ჭადრაკში, შაშში, მაგიდის ჩოგბურთსა და ფრენბურთში. საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვა რაისაავადმყოფოს თანამშრომელთა ნაკრებმა.

ა. ანასაშვილი.

## ნ. გ. ერემეიშვილი



ტრაგიკულმა შემთხვევამ სიცოცხლე მოუსწრაფა ნუკრი გერონტის ძე ერემეიშვილს, 31 წლის ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდას, ბედნიერ მამას, ამხანაგების მოყვარულს, კეთილ და საქმიან ვაჟკაცს. მან თავისი სიცოცხლე უცნობი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას შესწირა, იმიტომ, რომ ბუნებით ვაჟკაცური საქმეებისთვის იყო მოწოდებული. ნუკრი ერემეიშვილის არც ისე ხანგრძლივი, მაგრამ სამაგალითო ცხოვრება დასრულდა უეცრად და მან ათასობით ადამიანის ცრემლი და გულისტკივილი წაიღო.

იგი საქართველოში ცნობილი მოჭიდავე იყო, სპორტის ოსტატი, რესპუბლიკისა და „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს მრავალგზის ჩემპიონი, ბევრი საერთაშორისო შეხვედრის მონაწილე, მუდამ გაბედული და სამაგალითო მებრძოლი.

ნუკრი ერემეიშვილი ჭაბუკობაშივე ეზიარა კლასიკურ ჭიდაობას, როცა სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა. მას შემდეგ, წლების მანძილზე, იგი უანგაროდ ემსახურებოდა საყვარელ სპორტს.

ძნელია შეეჩვიო აზრს, რომ ეს სიცოცხლით სავსე, მხიარული და საყვარელი კაცი ამიერიდან ჩვენს შორის აღარ იქნება.

ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია;
თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი;
თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლა.

## რა იქნა კარის ძელები?

ორი წლის შესვენების შემდეგ კვლავ გაიმართა თბილისის პირველობა რეგბიში. ახლად არჩეული საქალაქო ფედერაციის (თავმჯდომარე მ. ლაზიშვილი) გადაწყვეტილებით, მონაწილე გუნდები სიძლიერის მიხედვით ორ ჯგუფად დაიყვნენ.

„ა" ჯგუფში გამოდიოდნენ „ლოკომოტივი", „დინამო", „სპარტაკი", „ელმავალი", უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები. ამ ჯგუფის პირველ ოთხეულში მოხვედრილები საქართველოს პირველობის ფინალში გამოვლენ. ბოლო ადგილზე გასული „ა" ჯგუფს ტოვებს და გაისად „ბ" ჯგუფში ითამაშებს.

„ბ" ჯგუფში მოასპარეზე „განთიადის", „დინამო-2"-ის და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რეგბისტებს შორის გამარჯვებული „ა" ჯგუფში გადადის. ამას გარდა, იგი საქართველოს პირველობის ფინალშიც დაიშვებოდა. გათამაშების ამგვარმა სისტემამ უდავოდ გაამართლა — შეხვედრები საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობდა.

თუ „ა" ჯგუფში პირველი და მეორე ფინალისტების ვინაობა ძირითადად გარკვეული იყო („ლოკომოტივი" და „დინამო"), დანარჩენი 2 ადგილისთვის 4 გუნდი იბრძოდა.

მოხდა ისე, რომ ამ ოთხეულმა ბოლო ტურის წინ ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა. ახლა მხოლოდ დასკვნით ტურს უნდა გაერკვია საქართველოს პირველობაში მონაწილე კიდევ ორი ფინალისტის ვინაობა.

ყველასთვის მოულოდნელად ფინალის საგზური პირველად „ელმავლის" ახალგაზრდულმა კოლექტივმა გაინაღდა. უნივერსიტეტის რეგბისტებთან წაგების შემდეგ (3:8) ამ გუნდის წევრებმა შეძლეს დაემარცხებინათ პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლები (9:6) და გადამწყვეტ მატჩში — „სპარტაკის" ძლიერი კოლექტივი (8:3).

„ელმავალი" (მწვრთნელი ზ. ხარშილაძე) მხოლოდ ერთი წელია შეიქმნა. ძნელ ბრძოლებში მოპოვებული გამარჯვებები „სპარტაკისა" და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდებთან, III საპრიზო ადგილი თბილისის პირველობაში აშკარად მეტყველებს ახალბედების შესაძლებლობებზე. ფინალური მატჩები განსაკუთრებით კარგად ჩაატარეს დ. კილასონიამ, ზ. ლოსაბერიძემ, კ. ლაზიშვილმა, თ. ბენდიაშვილმა. ამ უკანასკნელმა ბოლო ორ მატჩში გადამწყვეტი ქულები შესძინა გუნდს.

ბოლო ფინალისტის გამოსავლინებელ მატჩში პოლიტექნიკური ინსტიტუტის რეგბისტებმა შედარებით იოლად (16:0) სძლიეს უნივერსიტეტელებს. ბურთების უარესი სხვაობის გამო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ბოლო ადგილი დაიკავეს და „ა" ჯგუფში ადგილი დაუთმეს „განთიადის" სპორტსმენებს, რომლებმაც „ბ" ჯგუფში ყველა მეტოქე დაამარცხეს.

ორიოდე სიტყვა ტურნირის ორგანიზაციულ მხარეზე. თბილისის რეგბის ფედერაციამ თავი არ დაზოგა, რათა პირველობა წესიერად ჩატარებულიყო. შეხვედრები სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე უნდა მოწყობილიყო, მაგრამ ჩემპიონატის წინ ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ რატომღაც უარი განაცხადა თამაშების გამართვაზე. და აი, დაიწყო გუნდების მოგზაურობა ერთი სტადიონიდან მეორეზე. ზოგჯერ რეგბისტები იძულებული იყვნენ უვარგის მოედნებზე, კარის ძელების გარეშეც კი ეთამაშათ. შეხვედრების ვადები გაჭიანურდა. ამ მიზეზით ფინალური მატჩი „ლოკომოტივსა" და „დინამოს" შორის, რომელსაც თბილისის ჩემპიონი უნდა დაესახელებინა, არ გამართულა. შეხვედრა გადატანილია მაისის ბოლოსთვის.

რ. აიწურაძე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.


„ლოკომოტივის" სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)




9 მაისს

სსრ კავშირის თასის გათამაშება „ა" კლასის გუნდებისთვის

„დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (თბილისი)

დასაწყისი 19 ს. 30 წ.

ბილეთები ორგანიზაციებში გაიყიდება 7 და 8 მაისს, აბონემენტებზე—7 და 8 მაისს 12-დან 19 საათამდე, საერთო გაყიდვა კი 9 მაისს 10 საათიდან, სტადიონის სალაროებში.


### თბილისის სპორტული ცხოვრება

**რეგბი.** „ისნის" სტადიონი. 7-12 მაისი. საქართველოს პირველობა. დასაწყისი 10 ს.

**ფეხბურთი.** ასკ-ს სტადიონი. 7 მაისი. საქართველოს პირველობა. ასკ (თბილისი) — „ისანი" (თბილისი). დასაწყისი 18 ს.

**სასპორტო სროლა.** ვარკეთილის სასროლეთი. 8-10 მაისი. საქართველოს იუნიორთა პირველობა. დასაწყისი 10 ს.

**მძლეოსნობა.** „ლოკომოტივის" სტადიონი. 9-10 მაისი. საქართველოს ჩემპიონატი. დასაწყისი 10 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 04256